მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ივნისი
სივანი
№6 (454)
(5779)
2019

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

არალეგარული პირები საქართველოდან

ვის შეჰყავდა ისინი ისრაელში?

17 ივნისის დილას ისრაელის პოლიციამ დააპატიმრა 6 ეჭვმიტანილი და დაჰკითხა 8 საეჭვო ისრაელის მოქალაქე, რომლებსაც სავარაუდოდ ბრალი დაედებათ იმაში, რომ განეკუთნებოდნენ იმ დანაშაულებრივ ქსელს, რომელსაც 2017 წლიდან მოყოლებული, ისრაელში უკანონოდ შეჰყავდათ საქართველოდან ჩასული პირები. გამოძიებას ეწევა ეკონომიკურ დანაშაულებათა განყოფილება — „ლახავ-433.“

„ლახავ-433“ ვარაუდობენ, რომ ეჭვმიტანილთ საკმაო დროის განმავლობაში საკონტროლო-გამშვებ პუნქტის — საპასპორტო კონტროლის გვერდის ავლით, ისრაელში არალგალურად შეჰყავდათ საქართველოდან ჩასული პირები. ამ გზით ეჭვმიტანილებმა ისრაელში ასობით, იქნებ, ათასზე მეტი არალეგალური პირიც კი შეიყვანეს.

დაკავებულთა შორის არიან იმ კომპანიის თანამშრომლები, რომელიც თელ-ავივის დავით ბენ გურიონის სახელობის აეროპორტს უწევს მომსახურებას. ესენი სისტემატურად ახერხებდნენ უცხოელები სასაზღვრო დაცვის — საპასპორტო კონტროლის გვერდის ავლით შეეყვანათ სახელმწიფოში.

დანაშაულებრივი ქსელის ყოველ მონაწილეს ჰქონდა კონკრეტულად მისთვის გამოყოფილი ადგილი და ფუნქცია, რომელსაც იმ თანხის სანაცვლიდ ასრულებდა და სამართალდამცავ ორგანოებს აცურებდა, რომელსაც ჩამოსულნი უხდიდნენ. დანაშაულებრივი ქსელის შტაბი გახლდათ რიშონ ლე ციონში — საიდუმლო ბინაზე.

დაკავებულნი ეჭვმიტანილი არიან ისრაელის საზღვრის გადალახვის კანონის დარღვევაში, აფიორასა და აღმოჩენილი ნდობის გაცრუებაში. პოლიცია პროკურატურის ეკონომიკური დანაშაულის განყოფილებასთან ერთად, ეჭვმიტანილებზე თვეების განმავლობაში ეწეოდა ფარულ თვალთვალსა და მიყურადებას.

მასკარადი ბენ გურიონის აეროპორტში

საქართველოდან ჩამოსული არალეგალური პირები მასიურად შეჰყავდათ ისრაელში

ორშაბათს, 17 ივნისს ისრაელის საგამომძიებო ორგანოებისათვის ცნობილი გახდა, თუ როგორ მოქმედებდა დანაშაულებრივი ჯგუფი: საქართველოდან ჩამოსული არალეგალური პირები, როგორც კი თვითმფრინავის ტრაპზე ჩამოვიდოდნენ, იქვე გადაიცვამდნენ აეროპორტის სახმელეთო სამსახურის თანამშრომელთა უნიფორმას და მშვიდად აღმოჩნდებოდნენ ისრაელის ტერიტორიაზე.

სპეციალური დანიშნულების განყოფილების — „ლახავ-433“ გამომძიებელთა მონაცემებით, დანაშაულებრივი საქმიანობა კარგად გახლდათ მოფიქრებული და ორგანიზებული, ყოველი უმნიშვნელო წვრილმანიც კი გათვალისწინებული ჰქონდათ. ამან კრიმინალურ შენაერთს შეაძლებინა კარგა ხანს გამოუცნობნი ყოფილიყვნენ.

საზღვრის უკანონო გადაკვეთა კვირაში 3-4-ჯერ ეწყობოდა.ჯგუფი დიდი არ უნდა ყოფილიყო: ორი, ან სამი კაცი — ეს რაოდენობა ეჭვს არ გამოიწვევდა. არალეგალური პირნი ისრაელში არა პირდაპირი რეისით — საქართველოდან, სულ სხვა ქვეყნიდან — მეტწილად ევროპის ქვეყნებიდან: პოლონეთიდან, უნგრეთიდან, ესპანეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან ჩადიოდნენ.

დანაშაულებრივი დაჯგუფების მონაწილენი ჩანერგილნი გახლდათ ბენ გურიონის აეროპორტის სახმელეთო სამსახურში, ზოგიერთ მათგანს შეეძლო თვითმფრინავის ტრაპთან მისვლა, სადაც ჩამოფრენილ „კლიენტებს“ ხვდებოდნენ, აქ თვითმფრინავის ბენზინით გამმართველის, ან დასუფთავების მუშაკის ნარინჯისფერ ჟილეტს გადააცმევდნენ.

ამის შემდეგ საქართველოს მოქალაქეს მოსაცდელ ადგილას მიიყვანდნენ . აქ იგი იცდიდა მანამ სანამ აეროპორტის თანამშრომელი ცვლას დაამთავრებდა — მისი ლოდინი შეიძლებოდა გაგრძელებულიყო რამდენიმე წუთი, ან რამდენიმე საათი — ეს დამოკიდებული გახლდათ იმაზე, თუ აეროპორტის თანამშრომელი რამდენ ხანში ამთავრებდა ცვლას. ამის შემდეგ „კლიენტიცა“ და დამხვდურიც, ერთად გადიოდნენ სასამსახურო გასასვლელით. რასაკვირველია, პასპორტების შემოწმებას გვერდს უქცევდნენ.

ჩამოსულს სამსახურებრივ გასასვლელთან წინასწარ გამოძახებული ტაქსი ელოდა და დანიშნულების ადგილას, უმეტესწილად ორ იუდაში, ლოდში, ან რიშონ ლე ციონში მიჰყავდა.

„ისრაელში შესასვლელი ბილეთი“ (დანაშაულებრივი ჯგუფი ასე უწოდებდა ამ მომსახურებას) 8-10 ათასი დოლარი ღირდა.

„ლახავ-433“ მეთაური პოლიციის ბრიგადის გენერალი ელი ასაიაგი ამბობს: ეს იყო მაფიოზური სტრუქტურა, რომელიც ისე გამოზომილად, მოფიქრებულად მუშაობდა, როგორც სამხედრო ფორმირება. თუ ადრე საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისათის ერთეულ ადამიანებს ვაპატიმრებდით, ამჯერად მთელი ჯგუფი დავაპატიმრეთ.

პორტალი „ვესტი-ინეტ“, 17 ივნისი

რომის პაპის ახალი ინიციატივა

ამასწინათ ვატიკანმა გამოაქვეყნა ახალი საპროგრამო დოკუმენტი, რომელშიც დაფიქსირდა, რომ კათოლიციზმი უარს ამბობს იუდეველთა შორის მისიონერულ მუშაობაზე. ე.ი. თანახმად კათოლიციზმის დოქტრინისა, ებრაელნი გახლავან იმ ერის შვილები, რომლებიც სულის გადასარჩენად, ქრისტიანად მოქცევას არ საჭიროებენო. გამოდის, მიუხედავად იმისა, რომ იუდეველნი ქრისტეს არ რწმუნობენ, კათოლიკე ღვთისმეტყველნი ებრაელთა სულების ხსნას, „თეოლოგიურ გარდაუვალობად“ აცნობიერებენ და „ უზარმაზარ ღვთიურ პარადოქსად“ მიიჩნევენ: თუ ზეციურმა მამამ ებრაელებს გადარჩენა აღუქვა, იგი ამ ამოცანას ქრისტიანთა დახმარების გარეშეც დაძლევსო.

ქრისტიანულ თეოლოგიაში ეს რევოლუციური ნაბიჯი ოსტრა ეტატეს — ვატიკანის მეორე კრების 50 წლისთავს დაუკავშირდა. ამ კრებაზე კი საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა — გადახედეს კათოლიკური ეკლესიის ებრაელობისადმი დამოკიდებულებას — უარყოფილი იქნა ებრაელთა ქრისტიანებად მოქცევის ძალადობრივი პრაქტიკა: 1960 წლამდე ყოველი ვნების პარასკევს ებრალობას „ვერაგობაში“ — ქრისტეს ჯვარცმაში სდებდნენ ბრალს. ვატიკანის მეორე კრებამ ეს ბრალდება ლიტურგიიდან ამოიღო და და აღიარა „ ღმ...სა და ებრაელებს შორის დადებული აღთქმა კვლავაც მოქმედებს.“ ახლა კი პაპის ტახტმა მომდევნო ნაბიჯი გადადგა: ზედმეტად მიიჩნია ებრაელების ქრისტიანობაში ნებაყოფილობითი გადასვლაც კი. დოკუმენტი, რომელსაც ეწოდება „ძღვენნი“(ე.ი. ძღვენი ებრაელობას) რამდენიმე მნიშვნელოვან გზავნილს შეიცავს, კონკრეტულად: იმდენად რამდენადაც ქრისტიანული რელიგია სათავეს იღებს იუდაიზმში, შეუძლებელია ქრისტიანი იყოს ანტისემიტი. მეტიც: რომის პაპმა ფრანცისკ პირველმა ამასწინათ ებრაელ რელიგიურ ლიდერებთან შეხვედრაზე განაცხადა: არა მხოლოდ ებრაელზე თავდასხმა, ისრაელის წინააღმდეგ გამოსვლაც კი ანტისემიტიზმია.

— ყოველი ქრისტიანის სულის სიღრმეში ებრაელი ზის — თქვა ამ შეხვედრაზე რომის პაპმა.

განაცხადა რა „ყოველი ქრტისტიანის გულის სიღრმეში იუდეველი ზის“ ფრანცისკ პირველმა იუდოფილობაში თავის ყველა წინამორბედს აჯობა. ამას კი დასძინა:

— შეუძლებელია იყო ნამდვილი ქრისტიანი და არ სცნობდე შენს ებრაულ ფესვებს- ამით ხაზი გაუსვა იმას, რომ ქრისტიანობაში ბევრი რამ არის იუდეური. პაპმა იოანე მეორემ იუდეველები ქრისტიანობის უფროს ძმებად მოიხსენია, ფრანცისკმა კი ბრძანა, ყოველ დღე დავითის ფსალმუნებით ვლოცულობ, როგორც იუდეველნი, მერე კი როგორც ქრისტიანი, ევქარისტიის წესს ვასრულებო.

ესპანურ გაზეთ **„La Vanguardia“**-სათვის მიცემულ ვრცელ ინტერვიუში პონტიფიკმა აღნიშნა, იუდაიზმსა და ქრისტიანობას შორის გამართული დიალოგი ქრისტიანობის ებრაული ფესვების შესწავლას — იუდაიზმის ქრისტიანობაში გაფურჩქვნასაც უნდა მოიცავდესო. ასევე დასძინა, რომ ეს ფეთქებადსაშიში თემა არისო, როგორც თავად გამოთქვა: „ პირში ჩადებული ცხელი კარტოფილია“, მაგრამ მაინც შეგვიძლია ძმებივით ვიცხოვროთო.

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

თბილისში საზეიმოდ აღინიშნა ისრაელის დამოუკიდებლობის დღე

ახალ სასტუმრო „ბილტმორში“ ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის — შაბთაი ცურის მოწვევით დიდძალი ხალხი შეიკრიბა: საქართველოს პრეზიდენტი ქ-ნი სალომე ზურაბიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზანკალიანი ებრაული თემის წევრები, პარლამენტარები, კულტურის, მეცნიერების, ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელმა შაბთაი ცურმა:

— ქალბატონებო და ბატონებო, ნება მიბოძეთ, მივესალმო საქართველოს პრეზიდენტს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, დავით ზალკალიანს, მსოფლიოს ქართველ ებრაელთა რაბინს, იაკობ გაგულაშვილს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, პატივცემულ ელჩებს, ისრაელიდან ჩამოსულ დელეგაციას, რაბინებს, ებრაული თემის წარმომადგენლებს, ძვირფას სტუმრებს!

ისრაელის თითოეულ მოქალაქეს, ყველა ებრაელს და ჩვენს მეგობრებს მთელს მსოფლიოში გილოცავთ ისრაელის დამოუკიდებლობის დღეს.

ისრაელის მიწა აღთქმული მიწაა ებრაელებისთვის. უძველესი წინასწარმეტყველებები ახლა სრულდება - ისრაელის ხალხმა ხანგრძლივი დევნილობის შემდეგ თავი მოიყარა აღთქმულ მიწაზე, ააშენა სიონი, ააყვავა უკვდავი დედაქალაქი იერუსალიმი.

ჩვენ საუკუნოვანი ოცნების ასრულების მომსწრენი ვართ და ამას საერთაშორისო თანადგომის გარეშე ვერ მოვახერხებდით. ვაფასებთ თქვენს მხარდაჭერას და გაფასებთ თქვენ.

სინამდვილეში, საკვირველი სულაც არ არის, რომ ისრაელის დემოკრატიული სახელმწიფო ერთადერთია ახლო აღმოსავლეთში, სადაც ყველა რელიგიისა და მრწამსის წარმომადგენლები თავისუფლად და ბედნიერად ცხოვრობენ. ჩვენ ერთნაირად ვიცავთ ყველა ადამიანის უფლებებს, იქნება ის იუდეველი, ქრისტიანი მუსულმანი თუ სხვა აღმსარებლობის მიმდევარი. სხვაგვარად ვერც იქნებოდა, ჩვენ ხომ საერთო მომავალი გვაქვს.

71 წლის წინ ცოტას თუ სჯეროდა, რომ მტრებით გარშემორტმული, ახლადშექმნილი ქვეყანა გადარჩებოდა და ირწმუნებოდა, რომ ისრაელის სახელმწიფოს შექმნის იდეა კრახს განიცდიდა. დღეს კი დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა გვაქვს და საკუთარი ბედის განკარგვა თავად შეგვიძლია.

ისრაელმა 71 წლის განმავლობაში უნიკალური, ურთულესი გზა გამოიარა და წინსვლისა და განვითარების უპრეცედენტო მაგალითი შექმნა. დღესდღეობით იგი ტერორისტებისა და ბარბაროსების სამიზნეა და სწორედ ამიტომ ერთად უნდა ვიდგეთ მის დასაცავად. ჩვენ ისტორიულ გზისგასაყარზე ვცხოვრობთ. დღესაც უმთავრეს პრობლემად, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის მიღწევა რჩება. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ქვეყანა ამ ურთულეს გამოწვევასაც წარმატებით გადალახავს და მალე ახლო აღმოსავლეთში ნანატრი მშვიდობა დაისადგურებს.

კაცობრიობის ისტორიაში სამოცდათერთმეტი წელიწადი თვალის ერთი დახამხამებაა, მაგრამ გასულ ათწლეულებში მიღწეული წარმატება გარანტია იმისა, რომ მომავალში უფრო დიდ გამარჯვებებს მივაღწევთ და ისრაელი განაგრძობს თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის ბრძოლას ქაოტურ ახლო აღმოსავლეთში.

71 წლის განმავლობაში ჩვენი მოსახლეობა ათჯერ, ეკონომიკა კი ასჯერ გაიზარდა. გაეროს მსოფლიო ბედნიერების ინდექსის ნუსხაში ისრაელი მეცამეტე ადგილს იკავებს და ამ მაჩვენებლით ისეთ ქვეყნებს უსწრებს, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი, გერმანია და ამერიკის შეერთებული შტატები.

ისრაელს არასდროს ავიწყდება, რის ფასად მივაღწიეთ ამ ყოველივეს და სწორედ ამიტომ, ნება მიბოძეთ, უდიდესი პატივისცემით გავიხსენო გმირები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წარმატებისა და მშვიდობიანი მომავლისთვის დაეცნენ ან დღესაც განაგრძობენ შეუპოვარ ბრძოლას.

მინდა, აღვნიშნო საქართველოსა და ისრაელს შორის არსებული მყარი პარტნიორობა, რომელიც ებრაელი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას ემყარება.

ისრაელის სახელით კიდევ ერთხელ ვაცხადებ იმას, რაც არაერთხელ თქმულა - ჩვენ დიდად ვაფასებთ ურთიერთობას, რომელიც საქართველოსთან გვაქვს როგორც სახელმწიფოებრივ, ასევე ადამიანების ადამიანებთან ურთიერთობის დონეზე.

ისრაელისა და საქართველოს მეგობრობა მყარ პარტნიორობად ჩამოყალიბდა. საგრძნობლად გაიზარდა ტურიზმის მაჩვენებლები ორივე ქვეყანაში; თბილისიდან თელ ავივის მიმართთულებით ყოველდღიურად 6 ფრენა ხორციელდება, ბათუმიდან კი - 4. იზრდება ისრაელიდან საქართველოში და საქართველოდან ისრაელში ჩასული ტურისტების რიცხვიც. თუ 2017 წელს საქართველოში ისრაელიდან ჩამოსული ტურისტების რიცხვი 115 ათასს შეადგენდა, 2018 წელს იგი 157 ათასამდე გაიზარდა და დარწმუნებული ვარ, რომ წლეულს ეს ნიშნული 200 ათასს მიაღწევს.

საუკეთესოა თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის, ინოვაციების სფეროებში. უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ ეკონომიკურ კავშირებს და ინვესტიციების მოზიდვას. გამუდმებით ხორციელდება მაღალი რანგის ვიზიტები ორივე ქვეყანაში, რაც ყოველდღიურად ამყარებს სახელმწიფოებს შორის არსებულ თანამშრომლობას.

დაე, მუდამ ამაყად იფრიალოს სუვერენული, ძლიერი და წელში გამართული ქვეყნების, ისრაელისა და საქართველოს დროშებმა.

დღევანდელი საღამოს ორგანიზებისას გაწეული დახმარებისთვის, მადლობას მოვახსენებ საქართველოს საპატიო კონსულს ისრაელში, ბატონ მენი ბენიშს, ებრაულ სააგენტო ისრაელისათვის საქართველოში წარმომადგენელს, ავი ოფირს და ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველ მდივანს და „ნატივის“ კონსულს, ხაიმ ფიხმანს, „ნატივის“ რეგიონულ დირექტორს, ფელიქს გურევიჩს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელს, ანზორ ჩუბინიძეს, საქართველოს პარლამენტის წევრს, შოთა შალეღაშვილს, ისრაელის კონსულს საქართველოში სმადარ ცემახ-რაცაბის, ისრაელის საელჩოს უსაფრთხოების უფროსს, სერგეი სეგებს და კონსულის მოადგილეს, ირით სეგებს, ასევე საელჩოს თითოეულ წარმომადგენელს, განსაკუთრებით გიორგი ჟღენტს, ეკა ბურჯანაძეს, ირმა ზურაბიშვილსა და ია ბერულავას.

ჩემი გამოსვლის ბოლოს, მსურს, მთელ მსოფლიოს, ისრაელს, საქართველოს, ჩვენს შვილებს, მომავალ თაობებს ვუსურვო მშვიდობა! მშვიდობა, რომლის გარეშეც არ არსებობს ნათელი მომავლის პერსპექტივა!

გისურვებთ ბედნიერ დამოუკიდებლობის დღეს და ისრაელის თითოეული მოქალაქის სახელით, მადლობას გიხდით მეგობრობისა და თანადგომისთვის.

იომ ჰაცმაუთ სამეახ!

დავით ზალკალიანმა ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის 71-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა

საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ზალკალიანმა ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის 71-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

მან ებრაელ ხალხს მიულოცა ეროვნული დღესასწაული და ასევე წაიკითხა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის მილოცვა.

საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა იმ სამაგალითო ურთიერთობას, რომელიც მრავალი საუკუნეების მანძილზე არსებობს საქართველოსა და ისრაელს შორის.

დავით ზალკალიანმა ისაუბრა ორ ქვეყანას შორის არსებულ ნაყოფიერ თანამშრომლობაზე როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში და ყურადღება გაამახვილა მაღალი დონის ვიზიტების მნიშვნელობაზე ქვეყანებს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების საქმეში.

„მე მინდა კიდევ ერთხელ მივულოცო ისრაელს, ვუსურვო წარმატება, აყვავება და დარწმუნებული ვარ, რომ ის ურთიერთობა, რომელიც ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობის 25 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა, თვისობრივად კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე გადავა, რადგან ამის ყველა შესაძლებლობა და უდიდესი პოტენციალი არსებობს“-აღნიშნა დავით ზალკალიანმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

პრეზიდენტად ლატვიაშიც ებრაელი აირჩიეს

დღეს მსოფლიოში სამი ებრაელი პრეზიდენტია: ისრაელისა — რეუვენ რივლინი, უკრაინისა — ვლადიმირ ზელენსკი და ეგილ ლევიტსი, რომელიც მაისის ბოლო დღეებში ლატვიის პარლამენტმა ახალ პრეზიდენტად აირჩია.

ევროპის სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ეგილ ლევიტსი დამოუკიდებელ კანდიდატად იყრიდა კენჭს, იგი მემარჯვენე ცენტრისტული რეპუტაციის მქონე პრეზიდენტია.

ე. ლევიტსი დაიბადა რიგაში1955წ, ჰყავს მეუღლე და შვილი.

სარა ნეთანიაჰუს დაჯარიმება

12 ივნისს სარა ნეთანიაჰუსა და გენერალურ პროკურატურას შორის მიღწეული იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრის მეუღლემ ისრაელის ხაზინას 55 ათასი შეკელი (14 ათასი ევრო) უნდა გადაუხადოს. ეს არის საფასური ძვირადღირებული კერძებისა — სარა ნეთანიაჰუ სარგებლობდა იმით, რომ პრემიერის კანცელარიის თანამშრომლები არ იყვნენ საქმის კურსში და ხაზინის ხარჯზე ასეთ კერძებს უკვეთავდა,

ბრალდების ტექსტში აღნიშნულია: მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ჰყავდა მზარეული, რომელიც ხელფასს სახელმწიფოს ბიუჯეტიდან იღებდა, სარა მაინც ძვირადღირებულ კერძებს უკვეთავდა.

<u>რედაქტორის კუთხე</u>

შაბუყოთის დილა

** მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, რომელმაც გამიგიყვანე ეგვიპტის ქვეყნიდან.*

ჯერ ირიოდ სიტყვით ღამის თაობაზე: თბილისის ებრაელთა ერთი ნაწილი თორის ბოძების დღესასწაულთან დაკავშირებით, ტრადიციულ ღამის ლოცვას შეუდგა — ეწადა ისევე როგორც ათი, თხუთმეტი ოცი, თუ ოცდახუთი საუკუნის წინათ, ახლაც — 2019 წლის 8-9 ივნისის ღამეს, სიონის მთიდან მოშე რაბინუს მცნებებით დაბრუნების საუკუნეობრივი მნიშვნელობის წუთებს, კვლავაც ლოცვა-კურთხევით შეგებებოდა.

და ამ დროს, ისეთი ქარიშხალი მოვარდა, ისეთი მეხთაცემა ატყდა, კაცი იფიქრებდა, მოშე რაბეინუ, თბილისში ლოცვად დამდგარი ებრაელებისაკენ მოეშურება და ეს მეხთა ცემა ამის მაუწყი არისო.

ქალაქს ქარი-ქარაშოტი და თქეშად წამოსული წვიმა დაეპატრონა — გრიალებდა, ნავარდობდა — წრეს ზათქითა და გრგვინვით უვლიდა. ძილის საუფლოში შესულნი, ზე წამოიჭრნენ: ქალაქის თავს ფარსაგი ამბავი არისო და ბუნების მიმართ ამგვარი ამხედრების გამო, მყის კრძალვა დაეუფლათ — რიდით შეჰყურებდნენ განრისხანებულ ბუნებას — კიდევ ერთხელ რწმუნდებოდნენ: „ბუნება მბრძანებელია“(ვაჟა)

ზეცა ელვად კვესავდა, გრგვინავდა.

ახლადშობილი დილა კი მშვიდი, ფერადოვანი, მოალერსე მზიანი და საამო იყო. ყველაფერი ეს — ეს მშვენიერება — მზითა და სიყვარულით გაცისკროვნებული ქვეყნიერება — იმ გრგვინვასა და მეხთატეხაში იშვა?

მეხთატეხა და ზეცის ელვად კვესაა საჭირო რომ ასეთი წარმტაცად სახილველი დილა იშვას?

პატარა, ე.წ აშკენაზების, ისევე როგორც დიდ, ე.წ. ახალციხელების, ლოცვაში დილის ლოცვა როგორც წესი, 8 საათზე იწყება. ახლა კი, ცხრის ნახევარზეც, დაკეტილი გახლდათ. ახალციხელთა ბეით ქნესეთის ეზოში ორ-სამ კაცს თუ შენიშნავდით — ორივე ბეით ქნესეთში ღამე ათიეს — ორივე სალოცავში ლოცვა-კურთხევით შეეგებნენ შაბუყოთს — თორის ბოძების დღეს. მთელი ღამე ლოცულობდნენ. გამჩენს ადიდებდნენ: ამ მიწიერ სამყაროში, მათს ქვეყანაში, ქალაქსა და ოჯახებში, მშვიდობას ავედრებდნენ.

სინაის მთიდან მოშე რაბეინუს ღვთისეული მცნებები მოჰქონდა. მოდიოდა მცნებები, რომლებიც სამყაროში ადამიანთა არსებობის წესის ცვლილებას დაუდებდა სათავეს. ებრაელებმა აღუქვეს უზენაესს: მოგვეცით, მივიღებთ და დავიცავთო — მისადმი ერთგულების პირობა დასდეს და ახლა დედამიწაზე მის მოსვლა-დამკვიდრებას ეგებებოდნენ.

— არ არის მთავარი ვინ როგორ იტყვის: მოშე რაბეინუ, მოსე წინასწარმეტყველი, თუ მუსა: მთავარია, მას მოჰქონდა ადამიანების ცხოვრების კოდექსი — მცნებანი.

წუხელ თითქოს ბუნებაც გრძნობდა, რომ ხვალიდან კაცობრიობის ისტორიაში, ახალი ერა იწყებოდა — ცნებებისადმი ერთგულების გზით სამყაროს შეცვლის, სამყაროს გაუმჯობესების ერა.

ხაზან მიხეილ ხანანაშვილს ლოცვის ჩინებული მანერა ახასიათებს, შაბუყოთის დილას კი მისი ხმა სულ სხვაგვარად ჟღერდა: მის ინტონაციაში დიდებული ჟამის მოახლოება იგრძნობოდა — უზენაესს ისე შეჰღაღადებდა, მცნებათა გამოცხადების ჟამის მოახლოებას, მთელ ჯამაათს გადასდებდა. ჯამაათი კი...

ახალციხელთა სალოცავის დიდი დარბაზი უკვე გავსებულიყო — ისიც მობრუნებულიყო, ვინც მთელი ღამე აქ, ამ შენობაში ლაცვად გაატარა და ისიც, ვინც ახლახან გაახილა თვალი.

მიხეილ (მიხო) ხანანაშვილი, „ხაბადის“ წარმოგზავნილი საქართველოში ილია კოზლოვსკი, ბენციონ ისრაელაშვილი გატაცებით ლოცულობენ. და მცნებათა მიღების დიდებულ წუთებს გვახსენებენ.

დროდადრო მათს ხმებს ბავშვების მკაფიო, მჟღერი ხმაც უერთდება — მამებთან ერთად ამბიონზე შემდგარი ილია კოზლოვსკის და ბენციონ ისრაელაშვილის 5-10 წლის ვაჟების ხმები მომავლის იმედად ჟღერს,

და გაისმის ვედრება ზეცისადმი...

დიდნი და ჯერაც ყრმანი, ღვთისადმი მორჩილებასა და სიყვარულს გაუერთიანებია — ყველა ერთად შეჰღაღადებს უზენაესს...

რა დიდებულია ეს წუთები!

რაოდენ წარმტაცია წუთები, როცა ადამიანები უზენაესს ქვეყნიერებაზე მშვიდობას, ადამიანთა კეთილდღეობას ავედრებენ და ეს ვედრება ხომ ცხოვრებაში ამ სურვილთა განხორციელების აჯებაა.

და ხაზანი მიხ. ხანანაშვილი ჯამაათს მოუწოდებს ფეხზე წამოდგეს. ადამიანები ისმენენ მცნებებს, რომელიც მოშემ — მოძღვარმა ჩვენმა, კაცობრიობას სინაის მთიდან ჩამოუტანა:

და თითქოს ეს ადამიანებიც, მსგავსად მათი ძალიან შორეული, თუ ახლო ჟამის წინაპრებისა, ამბობენ: მივიღებთ და შევასრულებთ!

დღემდე ეს არ ვიცოდით!

იერუსალიმში არის კიდევ ერთი გოდების კედელი

თუ თქვენ გოდების ცნობილი კედლის ქვებს შუა სისტემატურად სდებთ წერილებს უზენაესისადმი, უნდა იცოდეთ, რომ არსებობს კიდევ გოდების კიდევ ერთი მომცრო კედელი, რომელიც იუდაიზმის ძალიან მნიშვნელოვან სულიერ ობიექტად მიიჩნევა. ეს კედელი იერუსალიმის მუსლიმურ უბანში მდებარეობს, მაგრამ წმინდა ადგილის ოფიციალური სტატუსი არ გააჩნია. ამ კედელთან ადამიანების რიგი არ შეინიშნება, მაგრამ რელიგიური თვალსაზრისით, გამორჩეული პირები მას არანაკლებ მნიშვნელოვან საკულტო ადგილად მიიჩნევენ, ვიდრე დღემდე კარგად ცნობილი დასავლეთის კედელია. „ჰა ქოთელ ჰა კატანი“ ნაკლებადაა ცნობილი, ვიდრე დიდი კედელი, მაგრამ სულიერების თვალსაზრისით, იგი უფრო მნიშვნელოვანი სიწმინდეა.

გოდების ორივე კედელი გახლავთ ნაწილი კოლოსალური უძველესი ფუნდამენტისა, რომელიც დიდმა მეფე ირომდა ტაძრის მთის ირგვლივ ააგო, სწორედ ამ მთაზე გახლდათ აღმართული იერუსალიმის მეორე ტაძარი.

გოდების მომცრო კედელი უკვე კარგად ცნობილი კედლის ჩრდილოეთით, დაახლოებით 175 მეტრითაა დაცილებული. იერუსალიმის მუსლიმურ კვარტალში „რკინის კარიბჭრის“ ხელმარცხნივ ტაძრის მთისკენ მიმავალ ბილიკზე თაღს დაინახავთ, მას რომ გაივლით, ვიწრო 4 მეტრის სიგანის გასასვლელი შეგხვდებათ,ამის მერე არის 8 მეტრიანი უძველესი წყობა ქვებისა, რომლის ქვედა ორი რიგი მეორე ტაძრის ეპოქისაა, მასზე ხნოვანი ქვები კიდევ უფრო ქვევითაა და არ ჩანს.



გოდების მომცრო კედელთან მისვლა ებრაელებს ყოველთვის როდი შეეძლოთ — მე13 საუკუნიდან მისასვლელი გზა მუსლიმ მომლოცველთა სამყოფლად იქცა 1948 წ. დამოუკიდებლობის ომის დროს, ისრაელმა ქალაქის ამ უბანზე კონტროლი ვერ შეინარჩუნა, 1967წ. ექვსდღიანი ომის შედეგად კი იერუსალიმი მთლიანად გადავიდა ისრაელის გამგებლობაში.

გოდების მომცრო კედელთან პაწია ადგილია, მაგრამ მორწმუნენი აქ მაინც ლოცულობენ, კედლებს შუა უზენაესისადმი მავედრებელ წერილებს აქცევენ, ისევე, როგორც ცნობილ დასავლეთის კედელთან. მომცრო კედელთან არცთუ იშვიათად ტარდება ბრით მილა.

ებრაული თემის ყოველდღიურობა

„ვნება შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში“

ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძისა

„ჯოინთის“ ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი საქართველოს ებრაელთა ყოფის განუყოფელი ნაწილია. ეს ფონდი დაარსდა 1993 წელს კულტურულ-საინფორმაციო ცენტრის ბაზაზე, რომლის მიზნები და ამოცანები განპირობებული იყო ებრაული თემის მოთხოვნებით. ცენტრის დირექტორი გახლდათ ქ-ნი ელენე ბერკოვიჩი — განათლებული, ენერგიული, ყურადღებიანი, მზრუნველი ქალბატონი. ქ-ნმა ელენე ბერკოვიჩმა დაამთავრა ა.პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 1977 წელს თემაზე: „ფსიქოლოგია პედაგოგიკაში“. ამჟამად გახლავთ ფსიქოლოგიის დოქტორი, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გამგეობის წევრი.

ყოველწლიურად, წელიწადში ერთხელ, იმართება ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გამგეობის წევრთა შეკრება (ისრაელში); ასევე წელიწადში აშშ ებრაელთა კომიტეტის წლიური კრება ქ. ვაშინგტონში, ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის გენერალური ასამბლეა, ყოველწლიურად ეწყობა ებრაული ორგანიზაციების დირექტორ-ლიდერების შეკრება. ამ ღონისძიებებში ქ-ნი ელენე ბერკოვიჩი აქტიურად მონაწილეობს (გენერალური ასამბლეის სესიები, კონფერენციები ...).

ქალბატონმა ელენე ბერკოვიჩმა დიდი, თავდაუზოავი შრომა გასწია, რათა ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი, დღევანდელი სახით როგორიცაა, ჩამოეყალიბებინა.

1992 წლის თებერვალში გაიხსნა ებრაული ბიბლიოთეკა, რომელიც „სოხნუთმა“ საჭირო ლიტერატურით უზრუნველყო. 1993 წელს ებრაულმა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდმა გაიარა აკრედიტაცია. გ. ტაბიძის ქუჩაზე იყო კულ-

ტურულ-საინფორმაციო ცენტრი და ბიბლიოთეკა. თანდათან გაიხსნა სხვადასხვა კურსი — ივრითის, ებრაული ტრადიციების შემსწავლელი, ბავშვთა ჯგუფი. 1995 წლისთვის ფონდი იქცა სრულყოფილ ფონდად. ქ-ნმა ელენე ბერკოვიჩმა გახსნა ებრაული უნივერსიტეტი, ებრაული მემკვიდრეობის, ებრაული კულტურისა და მეცნიერების შემსწავლელი, თეატრალური სტუდია, ივრითის, ინგლისურის, ებრაული ცეკვების შემსწავლელი წრეები, ებრაული პოეზიის წრე. ყოველივე ამას ქ-ნმა ელენემ საფუძველი ჩაუყარა „ჯოინთის“ დახმარებით (იმ დროს „ჯოინთის“ წარმომადგენელი კავკასიაში იყო მენახემ ელაზარი, შემდგომში — იაკობ ოფირი და მეირ ზიზოვი). ამჟამად „ჯოინთის“ წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში გახლავთ ბ-ნი ზოჰარ დავიდი (ზურაბ დავითაშვილი).

როგორც აღვნიშნეთ, 1995 წელს ცენტრი გაფართოვდა და დარეგისტრირდა როგორც ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი (დირექტორი ელენე ბერკოვიჩი).

1995 წ. ებრაული უნივერსიტეტის რექტორი იყო ცნობილი პოეტი და მთარგმნელი, ბ-ნი ჯემალ აჯიაშვილი.ებრაული მემკვიდრეობის, საქართველოს ებრაელთა ისტორიისა და კულტურის, ებრაული ტრადიციების შემსწავლელ პროგრამებს 1997 წელს დაემატა პროგრამები: თექის დამუშავება, ხატვა; 2003 წლიდან – 2009 წლამდე დაემატა საჭადრაკო სკოლა, ცეკვის სტუდია, ფოტოსტუდია, ფიტნესცენტრი.

2000 წლიდან ბავშვებისთვის მუშაობს შშ პროგრამა.

1997 წლიდან 2008 წლამდე, ყოველწლიურად, პირველად დსთ-ს ქვეყნებში, ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი ატარებს ებრაული წიგნის ფესტივალს საქართველოში, ტარდება ებრაული წიგნების გამოფენა, კონფერენციები, სემინარები და კონცერტები.

ფონდი მჭიდროდ თანამშრომლობს განათლებისა და კულტურის სახელმწიფო სტრუქტურებთან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

თბილისის ებრაულ სათემო სახლში წარმატებით ხორციელდება საბავშვო პროგრამა „შალომ, სეზამ!“.ამ პროგრამას, უკვე 25 წელია, დიდი რუდუნებით, პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ხელმძღვანელობს პროფესიონალი, საუკეთესო პიროვნული თვისებებით აღჭურვილი, ქ-ნი მარიეტა ისრაელიანი. თითოეულ ბავშვთან მიდგომა მოითხოვს გულისხმიერებას, ბავშვის ინდივიდუალობის გათვალისწინებას, დიდ სულიერ სითბოს.

აღსაზრდელთა ასაკი 4 –დან 6 წლამდეა. ქ-ნი მარიეტა ისრაელიანი, ივრითის პედაგოგი — ქ-ნი ელენე შეხტერი და ინგლისური ენის პედაგოგი, ქ-ნი ელენე ნინიძე მთელ ცოდნას და გამოცდილებას მშვენიერი კერის — საბავშვო ბაღის მოვლა-პატრონობას ახმარენ. პატარებს წესრიგი, სისუფთავე, სიფაქიზე, ხალისიანი, მხნე, მაღალპროფესიული პედაგოგები, კარგი კვება, გართობა, სითბო და სიყვარული ხვდებათ, დიდებული კოლექტივი სრული პასუხისმგებლობით ეკიდება სკოლამდელი ასაკის ბავშვების სოციალური და ფიზიკური განვითარების საქმეს. მშობლები ძალიან კმაყოფილნი არიან აღმზრდელთა კარგი მუშაობით, მათ პატარებზე დაუღალავი ზრუნვით. „შალომ, სეზამი“ საერთაშორისო პროგრამაა და ის 83 ქვეყანაში ხორციელდება. ბავშვებს ასწავლიან ქართულ, რუსულ, ებრაულ და ინგლისურ ანბანს, მისაწვდომი ენით აცნობენ ებრაულ ტრადიციებს, რელიგიურ დღესასწაულებს, ებრაელთა ისტორიას, ქ-ნი ლარისა ნამთალაშვილი ყოველ პარასკევს მათთან ატარებს კაბალათ-შაბათს, სწავლობენ ებრაულ სიმღერებს, ლექსებს, ისმენენ ებრაულ მუსიკას, ეუფლებიან ებრაულ ცეკვებსა და სიმღერებს, ხატვას, ძერწვას, ამზადებენ ხელნაკეთ ნივთებს, დღესასწაულებთან დაკავშირებით ქმნიან შესაბამის ნახატებს... კედლებზე განთავსებული ნახატებით გამოწვეულ აღტაცებას ვერ ფარავს მნახველი...

თბილისის ებრაული სახლის უსაზღვროდ ყურადღებიანი ხელმძღვანელი, ბ-ნი რევაზ შათაშვილი მუდმივად ზრუნავს პატარებისთვის საჭირო ინვენტარის, სათამაშოების განახლებისათვის... ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარებული ბავშვები, სკოლამდელ ებრაულ აღზრდას და განათლებას, მკაფიო დიქციას და დეკლამაციას დაუფლებულნი მიდიან საჯარო სკოლებში, სადაც ისინი აღმზრდელი პედაგოგების დიდ მოწონებას იმსახურებენ.

13-25 წლის ახალგაზრდებს იწვევენ კლუბ YJC-ში (YOUTH JEWISH CLUB). კლუბში ეწყობა თემატური შეხვედრები და ღონისძიებები, შაბათის შეხვედრები, ებრაული დღესასწაულების, ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშნვა, შეისწავლიან ებრაულ ტრადიციებს, ხდება საკუთარი პროექტების შემუშავება და განხორციელება. აღნიშნავენ კლუბის წევრთა დაბადების დღეებს, ტარდება კონკურსები, შეჯიბრებები, დისკოთეკა და ხდება საჩუქრების გადაცემა. ახალგაზრდულ კლუბს დიდი შემართებით, ენთუზიაზმით ხელმძღვანელობს ახალგაზრდა, ენერგიული, დიდი შემოქმედებითი გაქანების მქონე, ქ-ნი ანა მილაძე - ვალენტინ ლუბიმეცთან ერთად. ამზადებენ მადრიხებს (ლიდერებს, საზაფხულო ოჯახური ბანაკებისთვის და ახალგაზრდული კლუბის პროექტებში სამუშაოდ. ეწყობა ღია კარის დღე (ახალგაზრდული კლუბის ახალი პროექტების პრეზენტაციები და მოხსენებები გაწეული სამუშაოს შესახებ), „საპატიო მოხალისეებისათვის“ პრიზებისა და დიპლომების გადაცემის ცერემონია. ახალგაზრდული კლუბი (YJC) აწყობს გასვლით თემატურ შაბათონებს, პიკნიკებსა და ექსკურსიებს სხვადასხვა ებრაულ ან ისტორიულ ადგილებში, 2-3 დღიანი ლიდერობის, მოხალისეობისა და სხვა თემატურ ლაშქრობებს, ნაყოფიერად მუშაობენ საზაფხულო საოჯახო ბანაკები.

თინეიჯერები კლუბის აქტიური მონაწილეები არიან.აქტიური ებრაელი მოზარდები მონაწილეობენ საერთაშორისო პროექტში (AJT), რომელიც მოიცავს პოსტსაბჭოთა ქვეყნებს. ბავშვებს ასწავლიან ლიდერობას, ამზადებენ პროექტებს, აქვთ თავიანთი ბავშვთა პარლამენტი (პრეზიდენტები – გოგონაც და ბიჭიც). წელიწადში ერთხელ ეწყობა კონფერენცია, მონაწილეობს 500-მდე ბავშვი (ხდება არჩევნებიც).

YJC საერთაშორისო პროექტის პარტნიორია. BBYO-ს ყოველწლიური კონფერენციები იმართება აშშ-ში და კონფერენციის მონაწილეები მთელი მსოფლიოდან შერჩეული მოზარდები არიან.

მსოფლიოს ებრაელთა კონგრესმა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის დირექტორს, ქ-ნ ელენე ბერკოვიჩს მადლობა გამოუცხადა, საქა-

რთველოს ებრაულ თემში გაწეული მუშაობისათვის.

ძალიან საინტერესოდ აღნიშნავენ სკოლის გამოშვების ცერემონიას — მოზარდებს გადასცემენ სერთიფიკატებს და უნივერსიტეტის მაგისტრის ქუდებს.

„ახალგაზრდობა უდიდესი ჯადოქარია“, — ამბობდა დიდი პუშკინი. „ახალგაზრდობა ცხოვრების პოეზიაა“, — შენიშნავდა რ. ფროსტი. სათნო, მზრუნველი, უანგარო, შეკრული კოლექტივი უშურველად გასცემს გულის სითბოს, ცოდნას, ზღვა სიკეთეს, სანაცვლოდ კი — გულწრფელ სიყვარულსა და პატივს იმკის.

ძალზე საინტერესო პროგრამა „მიშფახას“ (ოჯახი“) ხელმძღვანელობს განათლებული, ერუდირებული, გულისხმიერი ქ-ნი ლარისა ნამთალაშვილი. ამ პროგრამაში ჩართულნი არიან სხვადასხვა ასაკის ადამიანები: ახალგაზრდები, დედები, მამები, ბებიები, ბაბუები — სულ 60 კაცამდე. ებრაული დღესასწაულებისადმი მიძღვნილი საღამოები ეწყობა საკონცერტო დარბაზში (ფურიმი, ფესახი, სუქოთი...), ხშირად მაღალ დონეზე მომზადებული სპექტაკლებითაც ანებივრებენ მაყურებელს, წელიწადში 2-3-ჯერ ეწყობა სემინარები, შაბათონები ბუნებაში გასვლით, იყვნენ ე.წ. „სიყვარულის ქალაქში“ — სიღნაღში, ბაკურიანში.. . არც ქველმოქმედებაა ქ-ნი ლარისასთვის უცხო: უკვე მრავალი წელია, საზოგადოებრივ საწყისებზე მსურველებს ასწავლის ებრაულ ენას – ივრითს...

ქ-ნი ლარისა ნამთალაშვილი მაღლაკვალიფიციური სპეციალისტი გახლავთ და ამიტომაც, სრულიად დამსახურებულად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ებრაული ენის სწავლებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მას სერთიფიკატი გადასცა.

სასარგებლო საქმიანობას ეწევა საკვირაო სკოლა: შესანიშნავი სპეციალისტები: მათემატიკა (ლუდმილა დუდუჩავა), ინგლისური ენა (ნანა ყურაშვილი), ვოლონტიორი, უნარები (ფილხაზ პაატაშვილი), ქიმია (მარინა მალაშხია).

მალე ამოქმედდება იურიდიული კონსულტაცია.ებრაულ უნივერსიტეტს ბრწყინვალედ უძღვებოდნენ: პროფესორი ბ-ნი გურამ ლორთქიფანიძე (აწ გარდაცვლილი) და კულტუროლოგი, ბ-ნი მიხეილ აიდინოვი.

„წიგნი სარკმელია, საიდანაც სული სამყაროს გასცქერის“, — ამბობდა რ. ვილსონი. მუჰამედი ებრაელებს „წიგნის ხალხს“ უწოდებდა. 1992 წელს ამერიკის ებრაული გაერთიანებული გამავრცელებელი კომიტეტის — „ჯოინთის“ ხელშეწყობით დაარსდა ებრაული ბიბლიოთეკა. საბიბლიოთეკო ფონდი საკმაოდ მდიდარია. ძირითად ფონდს შეადგენს წიგნები და ჟურნალები რუსულ, ქართულ, ებრაულ და ინგლისურ ენებზე — სხვადასხვა თემატური მიმართულებით.აქ არის ისტორიული, რელიგიური, ფილოსოფიური, სამეცნიერო, საბავშვო, პოპულარული ლიტერატურა და პუბლიცისტიკა, ცნობარები, ლექსიკონები და ენციკლოპედიები, ივრითის სახელმძღვანელოები.

კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის პროგრამების კოორდინატორი, მცოდნე, ნიჭიერი ახალგაზრდა ქ-ნი ვიქტორია კაცნელსონი-გუჯეჯიანი შესანიშნავად უძღვება მონაცემთა ბაზას, ყველა ადმინისტრაციულ ფუნქციას, თარგმანების სფეროს, ხოლო ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს მოხალისეობის პრინციპით.

ბიბლიოთეკა ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ისრაელის ღია უნივერსიტეტის სტუდენტებთან. ვიქტორია გუჯეჯიანის სურვილია, რომ ახალგაზრდები უფრო მეტად სარგებლობდნენ ბიბლიოთეკის მომსახურებით. რათა მკითხველთა ფართო მასებმა უფრო კაგად გაიცნონ თანამედროვე ებრაელი მწერლები და პოეტები. კარგი იქნება, ამ საკითხზე წლის განმავლობაში ჩატარდეს ლექციების კურსი. ამ კუთხით მას დაეხმარებიან ქ-ნები ლარისა ნამთალაშვილი და ანა მილაძე.

ქალბატონი ელენე ბერკოვიჩი ბრწყინვალე ორგანიზატორი გახლავთ, ზნეკეთილი, უშუალო, პირდაპირი, გულღია ადამიანი. მას ძალიან უყვარს ადამიანები: სოფოკლეს თქმით, „ბევრი საოცრებაა ქვეყანაზე, ადამიანი კი ყველაზე დიდი სასწაულია.“ ის გამოირჩევა ინტელექტით, ღრმა ცოდნით, იცის თანადგომის, თანაგრძნობის ფასი...

ქ-ნმა ელენემ საფუძველი ჩაუყარა ებრაული წიგნის ფესტივალს, სულ ჩატარდა 12 ფესტივალი (1977 წლიდან 2008 წლის ჩათვლით). ებრაული წიგნის VI ფესტივალთან დაკავშირებით პროფესორი, ბ-ნი გურამ ლორთქიფანიძე აღფრთოვანებას ვერ მალავდა: „ეს ფესტივალი ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. უნდა აღინიშნოს მისი ორგანიზატორის, ებრაული სათვისტომოს ცნობილი მოღვაწის, ქ-ნი ელენე ბერკოვიჩის დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობები, უზარმაზარი, დაუოკებელი ენერგია, ცეცხლოვანი შემართება რაც შერწყმულია განსაკუთრებულ ორატორულ ნიჭთან, მჩქეფარე აქტივობასთან. მან შეძლო თავის ირგვლივ შემოეკრიბა ყოველმხრივ თავისივე მსგავსი კოლექტივი“.

პროფესორი, ქ-ნი ნელი ჩაფიძე კი ასე გვიზიარებდა თავის შთაბეჭდილებას: „აღფრთოვანებას ვერ ვმალავ აქ განცდილითა და ნანახით... რა დიდებული ღონისძიების მომსწრე გავხდით. დიდი მადლობა ქ-ნ ელენე ბერკოვიჩს და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ მის ასეთ კეთილშობილურ საქმიანობაში“.

ქ-ნი ელენე ბერკოვიჩი ნამდვილი პროფესიონალი გახლავთ, შესანიშნავი, მობილიზებული, მჭიდროდ შეკრული კოლექტივის თავკაცი, რომელიც, უკვე მრავალი წელია, ღირსეულად, საქმის ცოდნითა და დიდი გამოცდილებით ხელმძღვანელობს ამ მეტად საპასუხისმგებლო ფონდს.

„ფირკეი ავოთი“ (მამათა შეგონებანი) გვასწავლის, რომ „სამყარო დგას სამ საყრდენზე: თორაზე, ღმ-რთის სამსახურსა და ქველმოქმედებაზე“.

ებრაული ტრადიციის თანახმად, ადამიანი ქველმოქმედებას უხმაუროდ, შეუმჩნევლად, მოკრძალებით უნდა ეწეოდეს. ქველმოქმედების კეთების სურვილით არის ანთებული თბილისის ებრაული სათემო სახლის მთელი კოლექტივი. ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის თანამშრომლებიც არ იშურებენ ძალღონეს, რათა ბედნიერების წუთები აჩუქონ მათ, ვინც ამის დეფიციტს განიცდის, ბენეფიციარებს, მოხუცებს უვლიან, ართობენ, ახალისებენ, საჩუქრებით ახარებენ...

გაწეული ქველმოქმედებისათვის ა(ა)იპ გაბრიელ ბერის სახელობის მოხუცებულთა, უძლურთა და მიუსაფართა სახლის („ზეი“) დირექციამ ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის დირექტორს, ქ-ნ ელენე ბერკოვიჩს 2015 წელს მადლიერების სიგელი გადასცა და უსურვა: „ღმერთმა არ მოგაკლოთ მსგავსი კეთილი საქმის კეთების შესაძლებლობა! უფალმაგაგაძლიეროთ!“

ებრაული კულტურულ-საგანმანთლებლო ფონდის მიერ გამოცემული ძალზე საინტერესო წიგნს „სინაგოგები საქართველოში“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წიგნი „კვალი ისტორიაში“ მიემატა. ორივე წიგნი ქ-ნი ელენე ბერკოვიჩის ხელმძღვანელობით გამოიცა და მთავარი რედაქტორიც თავად გახლავთ. ეს წიგნი ასახავს საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა ტრაგედიას 1930 წლიდან 1950 წლამდე და მათ ხსოვნას ეძღვნება, ვინც დიდი სამამულო ომის პერიოდში, საკონცენტრაციო ბანაკების, ევაკუაციის, ჰოლოკოსტის მსხვერპლი გახდა. წიგნის გამოცემა დააფინანსა ამერიკის ებრაელთა გაერთიანებულმა გამავრცელებელმა კომიტეტმა „ჯოინთმა“.

ისიც აღსანიშნავია, რომ ფონდი მთელი ათი წლის განმავლობაში უშვებდა ჟურნალს „ნაბიჯი თორისაკენ“, რომელიც მკითხველთა დიდი მოწონებით სარგებლობდა.

ფონდთან მოქმედებს ვოკალური ანსამბლი „შირ“ (ხელმძღვანელი ჩინებული მუსიკოსი, პროფესორი ვილი გრიგორიანი), რომელიც ფონდის მიერ ჩატარებულ ყველა ღონისძიებაში იღებს მონაწილეობას. 2015 წელს ანსამბლი ყაზანის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის ლაურეატი გახდა.

მრავალმხრივ ნიჭიერ, ღვაწლმოსილ, ამაგდარ, პოპულარულ, ფართო დიაპაზონის მქონე საზოგადო მოღვაწეს, ქ-ნ ელენე ბერკოვიჩს ვუსურვებთ ებრაულ დღეგრძელობას, წარმატებებს ყველა წამოწყებაში, დიდ პირად ბედნიერებას და ჯანმრთელობას.

„ვნება შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში!

მთავარი ფასეულობა – ოჯახური ტრადიცია

„ადმიანების მატერიალური მოთხოვნილებები მცირდება მაშინ, როცა გამჩენის გზაზე სიარულს არჩევენ.“ რაბი მეირ შნეერსონის ეს სიტყვები გამახსენა ახალგაზრდა ფინანსისტთან, მიშელ მოშავთან (მოშენაშვილი) საუბარმა. მიშელი ბათიამში დაიბადა ექიმების ოჯახში. მშობლები ელაპარაკებოდნენ რუსულ და ქართულ ენებზე, რომლებიც დღემდე შესანიშნავად იცის, მაგრამ მშობლიურ ენად ივრითს თვლის. ჯერ სოკოლოვის სკოლაში სწავლობდა. უყვარდა ხატვა და მათემატიკა, ვარჯიშობდა კალათბურთში, ჩოგბურთსა და ჭიდაობაში, აგრეთვე მონაწილეობდა სასკოლო შეჯიბრებებში. შემდეგ რამათ იოსეფის ტიხონში კომპიუტერულ საინჟინრო მიმართულებით სწავლობდა. მიშელი იგონებს, თუ როგორი მორიდებული და მორცხვი იყო ბავშვობაში, სცენის შიშიც კი ჰქონდა. დედა ალღოთი მიხვდა, რომ მიშელს ბიძგი სჭირდებოდა და თხოვა თავისი ბარ მიცვის ცერემონიალი შესავალი სიტყვითა და სანთლების ანთებით, თავად წაეყვანა. ეს იყო და ეს, მიშელი გააქტიურდა, აღარ ყოყმანობდა ემღერა თუ არა, ხალხის წინაშე და თუ როგორ მღერის, ამაზე მოგვიანებით მოგახსენებთ. ლია კრიხელი. ალბათ, დედა ავტორიტეტია შენთვის? მიშელ მოშავი. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ჩემთვის ავტორიტეტი ჩემი ბაბუა, რეზო არონაშვილი გახლავთ. იგი ისრაელში, საქართველოსა და რუსეთში ცნობილი ბიზნესმენია. არა მარტო ჩემთვის, ის მთელი ჩვენი დიდი ოჯახის ავტორიტეტია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყველა გრძნობს მის მზრუნველ ხელს. ამიტომ მის გამჭრიახ რჩევებს ყველა ითვალისწინებს. დედაჩემი, ლამუკა არონაშვილი სტომატოლოგია და ბიზნესის მართვაც ძალუძს. მამაც, მარკ მოშენაშვილი, სტომატოლოგია, იგი კერძო კლინიკის მფლობელია. ჩემი და, სარითი საკონდიტრო საქმის დიზაინერია.“

სკოლის შემდეგ, მიშელ მოშავი თავის გეგმებს ანდობს ოჯახის წევრებს, რომ მას სურს საზღვარგარეთ გამგზავრება უმაღლესი განათლების მისაღებად. მიიღო რა თანადგომა, თავის დეიდაშვილთან ერთად, მიემგზავრება უნგრეთში და სწავლას იწყებს ბუდაპეშტის უნივერსიტეტის ფინანსებისა და ანგარიშგების ფაკულტეტზე, რომელიც ოქსფორდ ბრუქსის ფილიალი გახლავთ IBS international business school -ის სახელწოდებით. სწავლობდა ინგლისურ ენაზე და ვიდრე დიპლომს მიიღებდა, სავალდებულო იყო ერთწლიანი სტაჟირება. ჰქონდა შეთავაზება ბუდაპეშტის ერთ-ერთ ბანკში ემუშავა, მაგრამ მიშელმა არჩია სტაჟირების გავლა მოსკოვის კომპანიაში, რომელიც სამედიცინო აპარატებითა და ხელსაწყოებით ამარაგებს კლინიკებს. ამ კომპანიას მიშელის ბაბუა

და დედა მართავენ.

ლ. კ. ყველა იმას უჩივის, რომ არ არის იოლი ოჯახის წევრებთან მუშაობა, შენ რას მეტყვი?

მ.მ. ალბათ, იგივეს, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა აგებულია კომპრომისებზე და ამიტომაც მშვენივრად გავართვი თავი.

ლ.კ. ამით იმის თქმა გინდა, რომ არ განებივრებდნენ და არ გზოგავდნენ შრომაში?“

მ. მ. არა, პირიქით, დროზე მოსვლა, დამატებითი საათები მუშაობა, სხვადასხვა რთული დავალების შესრულება ჩვეულებრივი რამ იყო: რუსი ჯარისკაცივით გამომწრთვნეს. თეორიული და პრქტიკული გამოცდილებაც მივიღე კომერციული გარიგებებში, რამეთუ ვმუშაობდი წარმოების პროფესიონალ ფინანსისტთან, რომელმაც ძირეულად შემასწავლა საქმის ვითარება. ხელფასს ვიღებდი როგორც ყველა და თუ საჭირო იყო, ბაბუა სხვების წინ მომცემდა შენიშვნას. ამრიგად „ხალტურა“ ჩემთვის მიუღებელია.

ლ. კ. ასე მარტივად იღებ კრიტიკას?

მ. მ. საღი და ობიექტური კრიტიკა ყოველთვის გასათვალისწინებელია, მას წამლის ეფექტი აქვს. მიშელი ისევ ბუდაპეშტში ბრუნდებადა განაგრძობს სწავლას. უკვედიპლომირებული ფინანსისტი კი მოსკოვს მიემგზავრება და კიდევ ერთ სფეროს სწავლობს, ანუ სამედიცინო აპარატურის საზღვარგარეთის ქვეყნებში ექსპორტირებით არის დაკავებული. გამოფენებიც მოაწყო რუსეთისა და გერმანიიის ქალაქებსა.

ლ. კ. საზღვარგარეთის წარმომადგენლებთან თუ გიწევდა საქმიანი მოლაპარაკებები?

მ. მ. დრო და დრო, ეს უკვე მაშინ, როცა გარკვეული გამოცდილება მივიღე.ოთხის წლის შემდეგ, მიშელი ისრაელში ჩამოვიდა. ამჯერად უძრავი ქონების სპეციალობას დაეუფლა და ლიცენზიაც მიიღო. პრაქტიკის მისაღებად იმუშავა კიდეც რამდენიმე თვე. მან გაიარა გასაუბრება ბანკ „დისკონტის“ თელავივის ერთ-ერთ ფილიაილში და მუშაობა დაიწყო იმ ბანკში, რომელიც შუსტერის სავაჭრო ცენტრშია განთავსებული. აქ იგი უამრავ ცნობილსა და ცნობად პირებს ხვდებოდა და მათაც გაიცნეს მიშელი, როგორც პერსპექტიული ახალგაზრდა. წელიწადნახევარში მიშელ მოშავი გადადის იაფოს ბანკში „მერკანტილ“ და საერთაშორისო საფინანსო კომპანიაში „ინვესტ“. მისი მოვალეობაა კრედიტების გაფორმება კერძო და იურიდიული პირებისათვის მათი ფინანსური მდგომარეობის შესწავლის შემდეგ და ნაყოფიერად თანამრომლობს ადმინისტრციასთან. გარდა ამისა, იგი ათავსებს მუშაობას უძრავი ქონების საერთაშორისო კომპანიაში „რიმაქს“.

ლ. კ. მიშელ, მე მოგისმინე კომპოზიტორ რუბენ კაჟილოტის შემოქმედებით, შეიძლება ითქვას საანგარიშო კონცერტზე. შენ ასრულებდი ფრენკ სინატრას სიმღერას. სად და როდის დაიწყე მღერა?

მ. მ. ჯერ კიდევ ცხრა წლის წინ შევპირდი ჩემ დეიდაშვილს, რომ მის ქორწილში ვიმღერებდი ფრენკ სინატრას სიმღერას და შევუსრულე კიდეც. ოჯახის წევრებმაც მომიწონეს, მირჩიეს მეზრუნა ხმის განვითარებაზე. მე მივაკითხე ბატ. რუბენ კაჟილოტის, დავიწყეთ მუშაობა. მე ვთვლი, რომ თუ დავიწყებდი მეცადინეობას ადრეულ ასაკში, შეიძლებოდა მეფიქრა მომღერლის კარიერაზე, მაგრამ როცა 26 წლისამ გადავწყვიტე ვოკალზე მუშაობა, ალბათ, დავრჩები მოყვარულის დონეზე კარგ შემსრულებლად. გამოგიტყდებით, რომ ბედნიერი ვარ, როცა ვმღერი და უფრო ბედნიერი, როცა მსმენელიც ნასიამოვნებია. ჩემი პედაგოგი მარწმუნებს, რომ ჩემგან კარგი მომღერალი დადგება, მაგრამ კარგად მაქვს გასიგრძეგანებული, თუ რა მსხვერპლს მოითხოვს პროფესიონალ მომღერლად ჩამოყალიბება. ეს ნიშნავს, დავთმო ჩემი ყველანაირი საქმიანობა და მთელი ჩემი დრო და ენერგია სიმღერას მოვახმარო, რაც არარეალურად მიმაჩნია ამ ეტაპზე.

ლ. კ. სიმღერის გარდა, რა გიყვარს?

მ. მ. პაროდირება და იუმორი.

ლ. კ. და მაინც, რა არის შენი ცხოვრების კრედო?

მ. მ. მე ისევ ჩემ ოჯახს მივუბრუნდები. აწგანსვენებული ჩემი საყვარელი ბებია მერი, ყოველგვარი ლოზუნგების გარეშე, მხოლოდ პირადი მაგალითებით გვასწავლიდა სიკეთის ფასს, ღიმილისა და სითბოს მნიშვნელობას. გავდიოდით თუ შემოვდიოდით შვილიშვილები, თვითონ გვხვდებოდა და გვაცილებდა კარებთან. ქალურობის და სიდარბაისლის განსახიერება იყო. ბაბუა რეზო ბევრის მისამართია, თუ კი ვინმეს გაუჭირდება. იგი ყოველთვის გვიმეორებს: ადამიანი იზომება თავის ქმედებით და არა იმ აქსესუარებით, რაც ასხმული აქვს. ასე ვრცლად იმიტომ გიპასუხეთ თქვენ შეკითხვაზე, რომ ჩემი კრედოა ჩემ აღმზრდელ დედასა და ბაბუას იმედი არ გავუცრუო. შევინახო ბებია მერის ხსოვნა, რომელსაც მე და ჩემი დეიდაშვილი ჩვენი ინიციატივით ვუკითხავდით „ კადიშს“. სწორედ მაშინ დავუახლოვდი რწმენას. მინდა შევქმნა ნამდვილი ებრაული ოჯახი.“

ლ. კ. გაიცანით: მისაბაძი ახალგაზრდა, ფინანსისტი და უძრავი ქონების ლიცენზირებული სპეციალისტი. კრედიტებისა და იპოთეკური სესხების წარჩინებული, 27 წლის მიშელ მოშავი.

ლია კრიხელი

რამათ ტრამპი — დასახლება ტრამპი

აპრილში პრემიერ-მინისტრმა ნეთანიაჰუმ გამოაცხადა, რომ გოლანის სიმაღლეზე შეიქმნება ახალი დასახლება, რომელსაც დაერქმევა რამათ ტრამპი — ტრამპის დასახლება. როგორც გაზეთი „ჰაარეცი“ იუწყება, შედგა დოკუმენტი, რომელშიც წერია: იმის გამო, რომ ამერიკის მხარემ ისრაელის დედაქალაქად აღიარა იერუსალიმი და გოლანის სიმაღლეზე სცნო ისრაელის სუვერენიტეტი, ჩვენი მადლიერების გამოხატვის მიზნით, ახალ დასახლებას ეწოდოსო ტრამპი სახელი.

ამ დღეებში ისრაელის მთავრობამ გასვლითი სხდომა სწორედ გოლანის სიმაღლეზე მოაწყო. ეს საკითხი აქ გამართულ მთავრობის სხდომაზე განიხილეს და გადაწყვიტეს, რომ ისრაელში იქნება ახალი დასახლება — რამათ ტრამპი.

ახალი დასახლებული პუნქტის რამათ ტრამპის გახსნასთან დაკავშირებით, დონალდ ტრამპმა ისრაელის სახელმწიფოს და ბინიამინ ნეთანიაჰუს მადლობა გადაუხადა.

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

აჰარონ მდინარაძე

ა ხ ა ლ ი ს ა ბ ე ბ ი

კვირის თავში ბეჰაალოთხა არის ფასუკი "და გააკეთა აჰარონმა ყველაფერი რაც უბრძანა ჰაშემმა". რატომ უსმევს თორა ამას ხაზს-? ამაშია აჰარონის დიდება, რომ გააკეთა აჰარონმა ყველაფერი რაც უბრძანა ჰაშემმა"-?

რებე გურიდან გვიხსნის ასე: ცნობილია, რომ ადამიანი როდესაც აკეთებს რაღაც ახალს ის ძალიან მონდომებულია და არ ზოგავს ენერგიას. გადის დრო და როდესაც ყველაფერი ხდება ჩვეულებრივი, დამოკიდებულება იცვლება და აღარ არის პირვანდელი აღმაფრენა.

აქ ზუსტად თორა ხაზს უსმევს, რომ აჰარონ ჰაქოენი მთელი ცხოვრების განმავლობაში ისე ანთებდა მენორას ყოველ საღამოს თითქოს ეხლა მიიღო ბრძანება ჰაშემისგან.

გარდა ამისა იძახის რ. მეერი პერემიშლიანიდან, მიუხედავად იმისა რომ აჰარონ ჰაქოენს ჰქონდა ასეთი დიდი თანამდებობა,ის რჩებოდა ისეთივე კაცთმოყვარე და თავდაბალი როგორიც იყო ყოველთვის,ასევე აკეთებდა ყველაფერს,რომ ადამიანებს შორის ყოფილიყო მშვიდობა და ურთიერთგაგება.

რამბამი ცნობილ წერილში, რომელიც მან დაუტოვა ანდერძათ შვილს წერს: თუ გინდა მიაღწიო ანავას (თავდაბლობა) - მიაქციე ყურადღება შენს სუსტ მხარეებს, დაფიქრდი იმაზე,რომ შენ ჯერ არ ხარ სრულყოფილი ადამიანი და თუ დაფიქრდები მიხვდები რამდენად ჩამორჩები სხვებს.

დაფიქრდი ასევე იმაზეც რომ თუ შენ უშვებ ასეთ შეცდომებს,რა უნდა მოვთხოვოთ სხვა ხალხს, ვინც გაცილებით ნაკლები იცის და თითქმის არ სწავობენ თორას და თალმუდს.

ერთმა ცნობილმა ხელმძღვანელმა ასე ახსნა თავის წარმარტება-როდესაც ვცილდები ნებისმიერ ადამიანს ,ვაკეთებ დასკვნას რამდენად ის ჩემზე კარგი და ღირსეულია

თუ ის არის ჭკვიანი - ვეუბნები ჩემს თავს - მე რომ ასეთი ჭკვიანი ვიყო როგორც ის მივაღწევდი იგივეს-?

თუ ის არის ნაკლებად ჭკვიანი - ვეუბნები ჩემს თავს - რომ მას არ აქვს ამდენი განვითარება,მაგრამ როგორ ადამიანურად იქცევა და არაფეერში არ ჩამომრჩება

თუ ვცილდები მდიდარ ადამიანს ვიძახი სიმდიდრის მიუხედავად ის არ გახდა ამაყი და დარჩა ნორმალურ ადამიანად თუ ვცილდები ღარიბ ადამიანს ვიძახი სიღარიბის მიუხედავად ის იქცევა როგორც ღირსეული ადამიანი თუ ვცილდებით უფროსს ადამიანს უნდა ვთქვათ ის ჩემზე უფროსია უფრო მეტი იცის და უფრო მეტი გამოცდილება აქვს ამიტომ ის ჩემზე ცადიკია თუ ვცილდებით უმცროსს ადამიანს უნდა ვთქვათ ის ჩემზე პატარაა ამიტომ გაცილებით ნალკები ცოდვები ექნება ჩადენილი მოშე რაბეინუს სითავდაბლე ასევე გამოიხატებოდა იმაში რომ ის თვლიდა სხვა ისრაელს რომ ჰქონოდა იგივე შესაძლებლობები ის გაცილებით უფრო მეტ წარმატებას მიაღწევდა ჰილელთან მოვიდნენ 3 არაებრაელი და თხოვეს გიურის მიღება ერთს უნდოდა თორის სწავლა სანამ ის ცალ ფეხზე იდგა, მეორეს უნდოდა გამხადრიყო ქოჰენგადოლი, მესამეს უნდოდა ებრაელობა,მაგრამ არ უნდოდა ზეპირი თორის შესრულება და სწავლა.

ჰილელამდე ისინი ყველა იყვნენ შამაისთან საიდანაც ყველა გაყარეს ჰილელმა პირველს უთხრა - თორის მთავარი მცნებაა არ გაუკეთო სხვას ის რასაც არ ისურვებ რომ გაგიკეთონ შენ მეორეს უთხრა ისწავლე ქოჰენების წესები,იქ მან ნახა რომ თუ არაისრაელი შეეხება წმინდა ადგილს ის გარდაიცვლება და თვითონ თქვა უარი ქოჰენ გადოლობაზე მესამეს უთხრა ჯერ სერიოზულად ისწავლე დაწერილი თორა, სწავლისას მიხვდა რომ ზეპირი თორის გარეშე შეუძლებელია მომავალში ეს 3 ადამიანი უკვე გიურის გავლის შემდეგ შეხვდნეენ ერთმანეთს და თქვეს - შამაის ფანატიზმმა დაგვაცილა ჩვენ, ხოლო ჰილელის თავდაბლობამ დაგვაახლოვა თორასთან ნამდვილი თვადაბალი ადამიანი ისაა ვინც იცის ყველაფერი რაც მას გააჩნია არის ჰაშემისგან

შაბათ შალომ!

№ 119. პარასკევი, 14 ივნისი, 2019 წელი.

სანამ სცენას იხილავდეს/კურორტები

სიმღერიდან გოდებამდე

ჩვენს წინაშეა **გურამ ბათიაშვილის** დოკუმენტური ტრილოგია, მეტყველი სათაურით: **„საქართველოს ბედისწერა."**

რეჟისორი რომ ვიყო, აუცილებლად დავდგამდი, ოღონდ დილოგიას.

პირველ და მეორე პიესას.

ეს არ ნიშნავს, რომ მესამე არ მომწონს.

უბრალოდ, მინდა, სპექტაკლიც იქ დასრულდეს, სადაც მეორე პიესა მთავრდება.

სამეფო ოჯახის წევრებს რუსეთში ასახლებენ. ჯარების სარდალი მუხრან-ბატონი კი ასეთ ხვედრს სიკვდილს ამჯობინებს და ხანჯალს გულში ჩაიცემს.

უკანასკნელად ამ სიტყვებს წარმოთქვამს:

„ყველას გაჯობეთ, თქვენ მიდიხართ, მე აქ ვრჩები.. .ვრჩები... ჩემს მიწაში ...ჩემს მიწა... ჩემი ქვეყ..." და იქვეა ეს რემარკაც: „მიწა მუშტიდან უცვივა"...

აქ დამთავრებაც ხომ მძაფრ ფინალს შექმნიდა, მაგრამ პიესას კიდევ უფრო ტრაგიკული დასასრული აქვს:

„პორუჩიკი (შემოდის). ვაგვიანებთ, თავადო...დავიძრათ...(მუხრან-ბატონს მიწაზე შენიშნავს). თავადო, თავადო! (მუხრან-ბატონის ნეშტთან დაიხრება). გა-სა-გე-ბია. არც კი იცის, რა სამსახური გაუწია სამშობლოს... რა უცნაური ხალხია: ან სახეგაბრწყინებული ცაში უნდა ფრინავდნენ, ან კიდევ აი, ასე...

მოისმის ქართველი კაცის შეკივლება, მერე ხმადაბალი მოთქმა თუ გოდება. ფარდა."

რა თქმა უნდა, მუხრან-ბატონის სიტყვებით დამთავრება სასურველი იქნებოდა, მაგრამ თუ რუსის პორუჩიკი ამას იტყვის, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ.

* * *

ამას წინათ, რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე ვნახე გოჩა კაპანაძის სპექტაკლი, რომელიც საქართველოს ისტორიის ამავე პერიოდს ეხება.

სპექტაკლს საფუძვლად ისტორიული ქრონიკები უდევსო, — გვაუწყებდა აფიშა.

ქრონიკები და არა პიესა.

ალბათ, ამიტომ გამოვიდა ასე დაშლილი და ამორფული წარმოდგენა, რომელშიც უდავოდ არის ორიგინალური რეჟისორული სვლები თუ მიგნებები, საკმაოდ საინტერესო მსახიობური ნამუშევრებიც, მაგრამ შედეგი, სამწუხაროდ, მაინც არადამაკმაყოფილებელია.

გალაკტიონის ცნობილი სტრიქონების პერიფრაზს თუ მივმართავთ, თითქოს დადგმაა, მაგრამ მაინც არ არის დადგმა.

საინტერესოა, რეჟისორს ეს პიესა თუ ჰქონდა წაკითხული?

საერთოდაც, ხომ არ დადგა დრო, როცა ქართველი რეჟისორები სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ და საკუთარ თავ(ებ)ს ჰკითხონ: რას დგამენ და რატომ დგამენ?

* * *

იმის ექსპერტად ნამდვილად ვერ გამოვდგები, როგორი სიზუსტით იცავს და მიჰყვება დოკუმენტური ტრილოგია ისტორიულ წყაროებს, მაგრამ ამას ყველა ადვილად შენიშნავს: აქ საქართველოს უკანასკნელი დედოფალი რუს გენერალს არ კლავს. მოკვლას უფლისწული დავითი დაუპირებს, მაგრამ ამის უფლებას კაზაკები არ მისცემენ.

ძალიან საინტერესო იქნება ამის თაობაზე ავტორის კომენტარი.

* * *

პირველ პიესაში დიდებულები მეფე თამარს რუსზე აქორწინებენ და ამას სამშობლოს ბედნიერების გარანტად აცხადებენ. მეორე პიესაში რუსეთის იმპერატორი საქართველოს სამეფოს აუქმებს.

პირველი პიესის ფინალში ქართველი დიდებულები სუფრას უსხედან და ომახიანად მღერიან. სამეფო დარბაზის მხოლოდ ერთი წევრი არ აჰყვება იმათ სიმღერას:

„გაოგნებული გაბაონი ერთ წერტილს მისჩერებია"...

მეორე პიესა როგორც მთავრდება, უკვე ვთქვით: მოთქმა-გოდებით!

ამიტომაც ვისურვებდი დილოგიას...

* * *

ზემოთ რეჟისორი ვახსენე.

უნდა გამოვტყდე: პირველად გამიჩნდა სურვილი, რომ გურამ ბათიაშვილის პიესა(პიესები) რობერტ სტურუამ დადგას.

წარმოვიდგინე კიდეც, როგორ გააცოცხლებდა დიდი მაესტრო პიესის ზოგიერთ სცენას, მაგალითად, იმ ეპიზოდს, სამეფო ოჯახის წევრებს რუსეთისაკენ ეტლები რიგრიგობით რომ მიაქროლებენ. კიდევ უფრო ადვილი წარმოსადგენია, თუ რა შთამბეჭდავი იქნება სტურუასთან ბერიკა — მეორე პიესის პერსონაჟი, თითქოს მასხარა, მაგრამ მასხარაზე ბევრად მეტი; იმას კი რაღა წარმოდგენა უნდა, თუ რა თანამედროვედ გახმიანდებოდა პირველი პიესის ერთ-ერთი პერსონაჟის სიტყვები: **„ხალხმა იცის და უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ვართ უმცირესნი, თქვენ კი — უმრავლესნი და ჩვენს შორის დიდი შავი კატები ჩხავიან, ხალხმა ეგრე უნდა იცოდეს, და სიტყვებითაც არა — რა დავაკლოთ ერთმანეთს... მხოლოდ სიტყვებითა"...**

* * *

ისტორიულ თემაზე პიესის წერა დრამატურგს ბევრ საფრთხეს უქმნის. აქ დიდი ძალისხმევა და ოსტატობაა საჭირო იმისათვის, რომ თავი აარიდოს პათეტიკას, სიყალბეს, მაღალფარდოვნებას, სიტყვაუხვობას, სტატიკურობას...

გურამ ბათიაშვილის დოკუმენტურ ტრილოგიაში ყველა ეს ხიფათი აცილებულია.

ამიტომაც გავბედე აქ რობერტ სტურუას ხსენება.

* * *

როცა გრიგოლ აბაშიძემ ვრცელი ლექსი „არყოფნისაკენ" გამოაქვეყნა, მურმან ლებანიძემ უშურველად დაწერა: „შედევრი 80 წლის ასაკში."

კი, შედევრი სახიფათო სიტყვაა, მაგრამ ხომ არსებობს უფრო „ხმადაბალი" ეპითეტები?! გურამ ბათიაშვილის კოლეგებსაც არ უნდა გაუჭირდეთ უშურველობის გამოვლინება და 80 წლის დრამატურგის უდავო მიღწევით აღფრთოვანება.

მსურს, გულითადად მივულოცო ბატონ გურამს ეს წარმატება.

ვისურვებ, სულ მალე წარმატებული პრემიერა მიმელოცოს...

იოსებ ჭუმგურიძე

ტრამპი: ისრაელმა თავი ხელში უნდა აიყვანოს!

როგორც ცნობილია, ისრაელში 9აპრილს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგად, მემარჯვენე პარტიების კოალიციამ, რომელსაც ბინიამინ ნეთანიაჰუ ხელმძღვანელობდა, დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. გამარჯვებულმა პარტიებმა განაცხადეს, რომ ისინი სწორედ ბინიამინ ნეთანიაჰუს ირგვლივ გაერთიანდებოდნენ და სწორედ მას ისურვებდნენ სახელმწიფოს გამძღოლის — პრემიერ მინისტრის პოსტზე. აქედან გამომდინარე, ისრაელის პრეზიდენტმა რეუვენ რივლინმა მთავრობის შექმნა სწორედ ბინიამინ ნეთანიაჰუს დაავალა. მას ამისთვის ერთ თვეზე მეტი დრო ჰქონდა. და დაიწყო კიდეც მთავრობის ჩამოყალიბების პროცესი, მაგრამ ამ პროცესში თავი იჩინა სწორედ იმ წინააღმდეგობამ, რომელიც ასე ახასიათებს დღევანდელ ისრაელს: ყოველი პარტია აყენებს თავის პირობას: მთავრობაში შევა, ე.ი. თავისი დეპუტატებით პარლამენტში (ქნესეთში) იქნება ბინიამინ ნეთანიაჰუს პოზიციის მხარდამჭერი იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება მისი ესათუის მოთხოვნა. რელიგიური პარტიები სხვა საკითხებთან ერთად თხოულობდნენ იეშივის მოსწავლეები, რელიგიური სასწავლებლის სტუდენტები და საერთოდ რელიგიური ახალგაზრდობა, სამხედრო სამსახურში არ უნდა იყვნენო გაწვეულნი. ასეთი მოთხოვნა რელიგიური პარტიების დიქტატად მიაჩნია პარტიას „ისრაელი ჩვენი სახლია-ს“. ამ პარტიის ლიდერი ავიგდორ ლიბერმანი, რომელიც ხუთ მანდატს ფლობს, საკითხს ასე სვამდა: „ისრაელი ჩვენი სახლია“ მთავრობაში შევა იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მიღებული იქნება კანონი რელიგიური ახალგაზრდობის სამხედრო სამსახურში გაწვევის თაობაზე, ე.ი. შეიზღუდება რელიგიური პარტიების დიქტატი და რელიგიური ახალგაზრდობა ისევე გაივლის სამხედრო სამსახურს, როგორც დანარჩენი სხვა.

ბ)თუ იგი — ავიგდორ ლიბერმანი, კვლავაც მიიღებს თავდაცვის მინისტრის პორტფელს.

ბ) თუ მას, როგორც თავდაცვის მინისტრს, ექნება უფლება მკაცრად მოიქცეს ღაზაში.

თუ ა.ლიბერმანის ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდებოდა, მთავრობაში არ შევიდოდნენ რელიგიური პარტიები, რომლებიც გაცილებით მეტ მანდატს ფლობდნენ, ვიდრე პარტია „ისრაელი ჩვენი სახლია“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბინიამინ ნეთანიაუს ქნესეთში არ ექნებოდა ხმათა უმრავლესობა (61 და მეტი მანდატი) ხანგრძლივმა მოლაპარაკებებმა ვერა — რა შედეგი ვერ გამოიღო. „ისრაელი ჩვენი სახლიას “ გარეშე მემარჯვენე პარტიები მხოლოდ 60 მანდატს აგროვებდნენ, ამ მონაცემებით მთავრობის შექმნა შეუძლებელი გახლდათ — ქნესეთში 120 დეპუტატია. მიმომხილველები ალაპარაკდნენ იმაზე, რომ ავიგდორ ლიბერმანის მტკიცე, პოზიცია არ დაუთმოს რელიგიურ პარტიებს, განპირობებული გახლავთ ბინიამინ ნეთანიაჰუს პოლიტიკური განადგურების სურვილით.

ამის გამო, ქნესეთი დაიშალა და გამოცხადდა ხელახალი არჩევნები. დღეს რელიგიური პარტიები აცხადებენ: უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ლიბერმანმა საარჩევნო ბარიერი ვეღარ გადალახოს და პარლამენტს მიღმა დარჩესო.

მას შემდეგ, რაც ნეთანიაჰუმ ვერ შეძლო მთავრობის ჩამოყალიბება, აშშ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თქვა:

— ისრაელში ამ არჩევნებმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ძალიან მოულოდნელი იყო ის, რაც სამი დღის წინათ მოხდა. დიდი ბაზარია. ისრაელმა თავი ხელში უნდა აიყვანოს. ბიბი (ნეთანიაჰუ.რედ) ხომ აირჩიეს, ახლა ისევ არჩევნების გზას დაადგნენ. ეს სასაცილოა და ჩვენ სულაც არ გვახარებს.

დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ აშშ პრეზიდენტმა დაუფარავად გამოხატა უკმაყოფილება ნეთანიაჰუს ამგვარი მარცხით მას შემდეგ, რაც ნეთანიაჰუ შეაქო: ძალიან კარგი ბიჭიაო.

ავტბუსის გაგრილებული მოსაცდელები

ეს საპილოტო პროექტი თავდაპირველად აგვისტოს მეორე ნახევარში ეილათში ამოქმედდება, რადგან ამ ქალაქში სიცხე ზოგჯერ 40 გრადუსს აჭარბებს — აქ ავტობუსის გაჩერება კონდიცირებული იქნება. ამ სიახლის ინიციატორები ეილათის მერია, ტრანსპორტის სამინისტრო და ავტობუსების კომპანია „ეგედია“.

ეს არის დაგმანული მოწყობილობა, რომლის კარი ავტომატურად იღება, მასში იქნება საინფორმაციო სტენდი, ასევე ეკრანი, რომელიც თითის მიკარებაზე რეაგირებს. ახალი ტიპის სადგურები მოსახერხებელი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის პირებისათვის.



გაჩერებებზე დადგმული მოსაცდელების ზომა 2.5-5.2. მოძრავი კარი — გამჭვირვალე მინისა. თერმოსტატები 23-26 გრადუს ტემპერატურაზე იქნება მომართული, ყოველი მოსაცდელი სადგური აღიჭურვება ეკრანით, რომელზეც აისახება ინფორმაცია ავტობუსების მოძრაობის თაობაზე, ასევე ტურისტული მარშრუტები და სამგზავრო ტალონების თანხით შევსების ავტომატებით. კონდიციონერი იმუშავებს დღის საათებში, ღამე კი გამოითიშება. სადგური აღჭურვილი იქნება ვიდეოკამერებით.

ასეთი სადგურის ღირებულება 141 ათასი შეკელია, მისი დადგმა კი 25-40 ათასი შეკელი ეღირება. თუ საპილოტე პროგრამა ეილათში წარმატებით ჩატარდება, ეს ნიშნავს იმას, რომ გაუმჯობესდება საქალქო ტრანსპორტით საზოგადოების მომსახურება, ქუჩებში შემცირდება პირადი ავტომობილების რაოდენობა და პროექტი სხვა ქალაქებშიც განხორციელდება.

40 მილიონი ევრო ლატვიის ებრაულ თემს

როგორც ცნობილია, ადრეულ წლებში ებრაელობას სხვადასხვა რესპუბლიკაში სხვადასხვა სახის უძრავ-მოძრავი ქონება ჩამოართვეს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი წართმეული ქონების დაბრუნების — რესტიტუციის პროცესი დაიწყო. ამჟამად ლატვიის ებრაელობას უკანონოდ ჩამორთმეული ქონების კომპენსაციის სახით 40 მილიონ ევროს სთავაზობენ — ადგილობრივე გამოცემა „დიენაზე “ დარდნობით, ამას იუწყება შპუტნიკ.ვ.

მომზადებული კანონპროექტის მიხედვით, ლატვიის ებრაული თემის რესტიტუციის ფონდი ამ თანხას მიიღებს ათი წლის განმავლობაში — 2021-2030 წლებში. და გამოიყენებს იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელიც დაკავშირებულია ებრაულ რელიგიასთან, კულტურასთან, განათლებასთან, მეცნიერებასთან, ჯანმრთელობის დაცვასთან, ისტორიასთან, სპორტთან, ქველმოქმედებასთან, ლატვიის ებრაელობის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის აღდგენასა და შენახვასთან. კანონპროექტის მიხედვით, ებრაული თემისათვის გადასხდელი თანხის ოდენობა საბოლოოა და არ შეიცვლება.

2018 წლის 31 დეკემბრამდე არსებული საკადასტრო შეფასების თანახმად, ლატვიის ებრაული თემის უკანონოდ ჩამორთმეული ქონება დაახლოებით 47.8 მილიონ ევროდ ფასდებოდა. ლატვიის ებრაული ორგანიზაციების საბჭომ გაითვალისწინა სახელმწიფო ბიუჯეტის მდგომარეობა და დაყაბულდა 40 მილიონი ევროს მიღებას.

კანონპროექტი დასამტკიცებლად 12 ივნისს შეიტანეს პარლამენტში.

ისრაელის ყველაზე ლამაზი ქართველი ებრაელი

ისრაელის ყველაზე ლამაზი ქართველი ებრაელი ქალის წოდების მოპოვებისათვის გამართულ სილამაზის კონკურსზე, რომელიც აშდოდში გაიმართა, გამარჯვება ხოლონში მცხოვრებმა 64 წლის ზაირა ალიამ მოიპოვა.

როგორც ისრაელის რუსულენოვანი პორტალი „ვესტი“ იუწყება, კონკურსში 22 ქართველი ებრაელი ქალი მონაწილეობდა მათს შორის ზაირა ალიაზე გაცილებით ახალგაზრდები — ერთ-ერთი მათგანი 21 წლისა გახლდათ.

ის, ვინც ზაირა პოდიუმზე ნახა, გაუჭირდებოდა იმის თქმა, რომ ამ თავშენახულ ქალს უკვე ორი შვილთაშვილი ჰყავს — იგი 17 წლისა გათხოვდა — 1978 წელს და ოჯახთან ერთად ჩამოვიდა ისრაელში. მაგრამ რამდენიმე წელიწადში ავსტრიაში გადავიდა, სადაც მისმა მეუღლემ სერიოზული ბიზნესი წამოიწყო — 2013 წელს ისრაელში დაბრუნდნენ და ხოლონში დასახლდნენ.

ზაირა ყმაწვილქალობაში ცეკვით გახლდათ გატაცებული და როგორც პორტალი „ვესტი“ გვაუწყებს, პირველი ქართველი ებრაელი ქალი გახლდათ, რომელმაც ამ სარბიელზე წარმატებას მიაღწიაო.

ზაირა კორესპონდენტთან საუბარში აცხადებს:

— დამკვიდრებული წესისაგან განსხვავებით, მაჭანკლის მეშვეობით კი არ გავთხოვილვარ, ჩემი მომავალი ქმარი — იაკობი 17 წლისას შემიყვარდა, რამდენიმე თვეში მშობლებს გამოვუცხადეთ, რომ ერთმანეთზე დაქორწინება გვსურს. მას შემდეგ ერთად ვართ.იგი ყველაზე კარგი ქმარია.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე

თბილისი, ლეონიძის 11ა,

ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია

ქ. თბილისის მთაწმინდის

რაიონის სასამართლოს

მიერ.

რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი

გურამ ბათიაშვილი

ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557

9771987898003